ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჰავანაში გაიხსნა ვ. ი. ლენინის სახელობის სკოლა-ინტერნატი



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 24 (5054)

1974 წ. 3 თებერვალი, კვირა, ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეგობრული ვიზიტი კუბაში

ჰავანის გარეუბანში, ლენინის სახელობის პარკის მახლობლად, აიგო დიდი სასწავლო კომპლექსი, რომელშიც შედის ოცზე მეტი თანამედროვე სასწავლო შენობა, ლაბორატორია, საერთო საცხოვრებელი, შენობები დასვენებისა და სპორტში მეცადინეობისთვის.

კუბის რევოლუციური მთავრობის გადაწყვეტილებით, სკოლას დიდი ლენინის სახელი მიენიჭა.

სკოლა 31 იანვარს გაიხსნა. საზეიმო გახსნას დაესწრნენ კუბაში სტუმრად მყოფი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრი ამხანაგი ფიდელ კასტრო, ამხანაგები ა. ა. გრომიკო, ვ. ვ. შჩერბიცკი, გ. ვ. რომანოვი, კ. თ. კატუშევი და სხვ.

სკოლის დირექტორმა ფრანსისკო ჩავეს ერნანდესმა ძვირფას სტუმრებს უამბო ამ სკოლის მშენებლობაზე, მის მუშაობაზე, იმაზე, თუ რა დიდ დახმარებას უწევენ კუბელ მასწავლებლებს საბჭოთა პედაგოგები.

ლ. ი. ბრეჟნევმა და სხვა საბჭოთა ამხანაგებმა გულთბილი სიტყვები ჩაწერეს საპატიო სტუმრების წიგნში.

დათვალიერების შემდეგ მთავარი კორპუსის წინ მოეწყო სკოლის გახსნის საზეიმო ცერემონია.

სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ფიდელ კასტრომ. მან აღნიშნა, რომ კუბის რესპუბლიკაში ბევრი რამ კეთდება განათლების საერთო დონის ამაღლებისთვის, მერე კი კონკრეტულად ილაპარაკა სკოლა-ინტერნატის მუშაობაზე. მან აღნიშნა, რომ ახალ სკოლაში, რომელსაც კაცობრიობის დიდი ბელადის სახელი ჰქვია, 4500 მოსწავლე იმეცადინებს. მათს განკარგულებაში იქნება საუცხოოდ მოწყობილი კაბინეტ-ლაბორატორიები, დარბაზები. სკოლაში დიდი ყურადღება დაეთმობა ახალგაზრდების ფიზიკურ წრთობას და სპორტულ დაოსტატებას.

სკოლას აქვს 10 ფრენბურთისა და კალათბურთის მოედანი, 1 მინი-კალათბურთის მოედანი, ფრენბურთის ორმაგი მოედანი, 3-3 ბეისბოლისა და მინი-ფეხბურთის მოედანი, 2 ტანვარჯიშის ღია მოედანი, 1 ტანვარჯიშის დახურული მოედანი, 2 ჩოგბურთის მოედანი, 2 ოლიმპიური აუზი, 1 აუზი წყალში ხტომისთვის, 1 სტადიონი ფეხბურთის მინდვრითა და 2 სიმაღლეზე ხტომის სექტორით, 3 სიგრძეზე ხტომის, ჭოკით ხტომისა და სამხტომის სექტორით, 1 საფარიკაო დარბაზი, 11 მაგიდის ჩოგბურთისა და სამაგიდო თამაშების დარბაზი, 5 საჭადრაკო დარბაზი.

გარდა ამისა, სკოლას ექნება კინოთეატრი და დარბაზები კულტურული ღონისძიებებისთვის, სახელოსნოები და სხვ.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, რომელმაც კუბელ ბავშვებს ეს ძვირფასი საჩუქარი მოულოცა, წარმატებები და ბედნიერი მომავალი უსურვა.

სურათზე: ლენინის სახელობის სკოლა-ინტერნატის საზეიმო გახსნის მონაწილენი მხურვალედ მიესალმებიან ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევსა და ფიდელ კასტროს.

„იზვესტიის" სპეციალური კორესპონდენტის ს. სმირნოვის ტელეფოტო.

## ახალი

● კაუნასი, 1 თებერვალი. ვილნიუსელმა კ. შაპკამ ორჯერ გაიმარჯვა ლიტვის ამ ქალაქში გამართულ სიმაღლეზე მხტომელთა საკავშირო შეჯიბრებაში. მისი შედეგია 223 და 216 სმ. ტალინელმა ვ. ლუმიმ დაძლია 218 და 213 სმ, ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ლენინგრადელმა ი. ტარმაკმა — 218 და 210 სმ. ქალებში პირველ დღეს იმარჯვა ვლადიმირელმა ტ. ტოროპოვამ — 178, მეორე დღეს — ვ. ახრამენკომ (მინსკი) — 176 სმ.

● ფრუნზე, 1 თებერვალი. აქ მიმდინარეობს „ა" კლასის პირველი ჯგუფის ფრენბურთელ ქალთა გუნდების საკავშირო შეჯიბრება. 12 კოლექტივი დაყოფილი იყო ორ ქვეჯგუფად. 6 გუნდი ასპარეზობს თურქმენეთის დედაქალაქში, დანარჩენი 6 — პოლოცკში. ქვეჯგუფებში I-III ადგილებზე გასული კოლექტივები შექმნიან ფინალურ ჯგუფს. თბილისის „ბურევესტნიკი" თამაშობს ფრუნზეში, 5 შეხვედრაში 2 ქულა აქვს და საერთო ცხრილში VIII ადგილზეა. გათამაშებას ლიდერობს კრასნოდარის „დინამო" — 5 ქულა.

● მოსკოვი, 2 თებერვალი. ხვალ მოსკოვის ცსკა-ს ფეხბურთელთა გუნდი ემგზავრება ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც შეხვდება ადგილობრივ საკლუბო გუნდებს. აშშ-ს გარდა საბჭოთა ფეხბურთელები გამოვლენ კანადასა და მექსიკაში.

## [illegible]

თბილისის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირის ერთ-ერთი საინტერესო და ამაღელვებელი ორთაბრძოლა 90 კგ წონითს კატეგორიაში გაიმართა სსრ კავშირის ექს-ჩემპიონ ვლადიმერ მარშანიასა და ბულგარეთის სპორტის დამსახურებულ ოსტატ დიმო კოსტოვს შორის.

სურათზე: საბჭოთა მოჭიდავეს (იგი ზემოდანაა) კრიტიკულ მდგომარეობაში ჰყავს მეტოქე.

მ. ზარგარიანის ფოტო.

●

(შეჯიბრების ანგარიში იხ. მე-3 გვ.).

## მოთხილამურეთა „აქილევსის ქუსლი"

ბაკურიანი, 1 თებერვალი (ჩვენი სპეც. კორ.). საქართველოს ზამთრის სპარტაკიადაში პირადი და გუნდური გამარჯვებისთვის ბრძოლა თანდათან დაიძაბა. გუნდურ ჩათვლაში ორი დღის მერე ბაკურიანის სამთომოთხილამურეთა სპეციალიზებული სპორტსკოლის აღსაზრდელთა წარმატების წყალობით „დინამოს" კოლექტივი საგრძნობლად დაწინაურდა, მაგრამ III ადგილზე მყოფმა „კოლმეურნის" მოთხილამურეებმა დღეს რბენაში იმდენი ქულა მოაგროვეს, რომ ერთბაშად I ადგილზე გადაინაცვლეს.

რაც შეეხება ქალაქებისა და რაიონების ნაკრები კოლექტივების ტურნირს, თბილისის გუნდის წევრებმა რბოლების წყალობით უფროსთა შეჯიბრებაში მდგომარეობა ერთგვარად გამოასწორეს, მაგრამ იუნიორთა ასპარეზობასა და ორჭიდში ისევ ჩამორჩნენ. ამის გამო ბორჯომის რაიონისა და თბილისის გუნდებს შორის სხვაობამ 43 ქულას მიაღწია.

პირად შეჯიბრებაში გამოვლინდა სპარტაკიადის კიდევ 5 ჩემპიონი. ბორჯომის სამთომოთხილამურეთა ნაკრების ლიდერი, დინამოელი სპორტის ოსტატი გ. ჭიჭოევი „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობიდან გვიან დაბრუნდა და სპეციალური სლალომის სტარტზე არ გამოსულა, მაგრამ გიგანტურ სლალომში შეჯიბრებას ჩამოუსწრო და წარმატებითაც იასპარეზა.

გიგანტური სლალომის 1500-მეტრიან ტრასაზე (სიმაღლეთა სხვაობა 350 მეტრი) ვაჟები ორ-ორჯერ ეშვებოდნენ. პირველ ცდაზე ყველას სპორტის ოსტატმა ი. ნასყიდაშვილმა აჯობა — 1.33,37. მეორე ცდაზე მან ეს შედეგი ოდნავ გააუარესა. სამაგიეროდ, ჭიჭოევმა, რომელიც ნასყიდაშვილთან 2,45 წამს აგებდა, რევანში აიღო და ორი დაშვების ჯამში დღის საუკეთესო შედეგი მოიპოვა.




ქალებმა ვერც ამ სახეობაში გამოიჩინეს თავი. ამავე ტრასაზე ქალებიცა და გოგონებიც თითოჯერ ცდიდნენ ძალას. თუ ს. ნასყიდაშვილი და თ. კოზანაშვილი ძალით მაინცდამაინც არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან, სხვები ამ დუეტს ბევრად ჩამორჩებიან. გოგონათა შეჯიბრებაში ტრასის ბოლომდე გავლა ახლა მხოლოდ ორმა მონაწილემ შეძლო.

(დასასრული მე-3 გვ.).



# ფიზკულტურასა და სპორტში ახალი წარმატებებით ვუპასუხოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი!

## მეტალურგთა სიტყვა ფოლადივით მტკიცეა



მეცხრე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა არა მარტო დაძლია წინა წლების სიძნელეები, არამედ გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფო გეგმა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი. პროდუქციის გამოშვების წლიური დავალება ვადამდე ათი დღით ადრე შესრულდა. გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია 5800 ათასი მანეთის და რეალიზებულია 2600 ათასი მანეთის პროდუქცია.

პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის პასუხად რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა კიდევ ერთხელ შეამოწმეს თავიანთი შესაძლებლობანი და მეცხრე ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელ წელს დამატებითი ვალდებულებანი აიღეს. რუსთაველი მეტალურგები სახალხო მეურნეობას გეგმის გადაჭარბებით მისცემენ 300 ათასი მანეთის პროდუქციას, გეგმის ზევით გამოუშვებენ 25 ათას ტონა მეტალურგიულ კოქსს, 3 ათას ტონა თუჯს, 5 ათას ტონა ფოლადს, დიდი რაოდენობით — ნაგლინს, მილებს, ფოლადის ფურცლებს. მეტალურგთა ახალი გეგმა-ვალდებულება მნიშვნელოვნად აღემატება 1974 წლის თავდაპირველ გეგმას. იგი უპასუხებს პარტიის მოწოდებას, რომ ხვალ უკეთესად ვიმუშაოთ, ვიდრე გუშინ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი აქტიურად გამოეხმაურნენ მეტალურგიული ქარხნის ფიზკულტურელები და სპორტსმენებიც, რომელთაც გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს. მომზადდება 5 სპორტის ოსტატი, 10 სპორტის ოსტატობის კანდიდატი, 35 პირველთანრიგოსანი, 85 მეორეთანრიგოსანი, 375 მესამეთანრიგოსანი, 60 მოზარდთა თანრიგის სპორტსმენი. 360 მუშა და მოსამსახურე მთლიანად ჩააბარებს მშრ კომპლექსის ნორმატივებს. „განთიადის“ ყოველ წევრს ჩააბამენ სპორტულ საქმიანობაში, გააკეთებენ სტადიონის კაპიტალურ რემონტს, წლის პირველ ნახევარში მწყობრში ჩააყენებენ საცურაო აუზს. აღებულ ვალდებულებას მეტალურგები 7 ნოემბრისთვის შეასრულებენ.

... მარტენის საამქროში სამუშაო უბანზე ვნახეთ სპორტკლუბ „ფოლადის“ ძალოსანთა ნაკრები გუნდის წევრი ბონდო ჩემია. იგი გ. ძნელაძის სახელობის № 7 კომკავშირულ-ახალგაზრდულ ღუმელზე მუშაობს და ერთ-ერთ საუკეთესო მეფოლადედ ითვლება.

როცა აღებულ ვალდებულებებზე ვკითხეთ, ბონდომ ღიმილით მიგვითითა დაფისკენ, სადაც აღნიშნული იყო მეფოლადეთა ყოველდღიური მაჩვენებლები.

— როგორც ხედავთ, ახალი ვალდებულებით, ზეგეგმით 150 ტონა ფოლადი უნდა გამოვუშვა, — გვითხრა ბონდომ, — ვეცდები გეგმას ბევრად გადავაჭარბო. მარტო იანვრის დღეებში ზეგეგმით 200 ტონამდე ფოლადი გამოვადნე. არც სპორტულ ასპარეზზე მინდა თავი შევირცხვინო. კვლავ მივიღებ მონაწილეობას მეტალურგიული მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების დარგობრივ სპარტაკიადაში. მე ხომ ამ სპარტაკიადის არაერთგზის მონაწილე და ჩემპიონი ვარ.

ის იყო მეფოლადესთან დამშვიდობებას ვაპირებდით, რომ საამქროში ორთქლმავალმა ჭართით დატვირთული ვაგონები შემოაგორა. ორთქლმავალი მოჰყავდა სპორტის ოსტატს თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში იური ბეყოშვილს. კარგი შემთხვევა ხელიდან არ გავუშვით და ქალაქის ფალავანს, „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს მრავალგზის ჩემპიონს, რესპუბლიკური ჩემპიონატების პრიზიორს ვკითხეთ, რა ვალდებულებები აქვს აღებული მიმართვის საპასუხოდ.

— გადაწყვეტილი მაქვს ორთქლმავალი შეუკეთებლად ვამუშაო 27 დღის მაგივრად 40-45 დღე და ყოველდღიური გამომუშავების ნორმა 140-145 პროცენტით შევასრულო. რაც შეეხება სპორტულ გეგმებს, განზრახული მაქვს კვლავ მივიღო მონაწილეობა შეჯიბრებებში. გარდა ამისა, მე სამბისტთა ჯგუფის მწვრთნელი ვარ. ეს ჯგუფი ახლახან გაიხსნა და მინდა მოვამზადო მეტალურგი სპორტსმენები პირველი ასპარეზობისთვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის საპასუხოდ გადიდებული ვალდებულებები იკისრეს მვალცავმა, მოჭიდავე ი. ციცქიშვილმა, საგლინავი საამქროს ხარატმა, მძლეოსანმა ე. ბულავეცკიმ, მეტალურგიული ღუმელების შემკეთებელი საამქროს ოსტატმა, კალათბურთელმა ი. კობერიძემ, ჩამომსხმელი საამქროს ოსტატმა, კალათბურთელმა ა. ბერიძემ და სხვებმა.

გვჯერა, მეტალურგ სპორტსმენთა სიტყვა ფოლადივით მტკიცე იქნება. რუსთაველები შრომასა და სპორტში ახალ-ახალი გამარჯვებებით უპასუხებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი.

**რ. გაბრიაძე.**

• • •

სურათზე: მეფოლადე ბ. ჩემია.

ავტორის ფოტო.

## საქმემან შენმან გამოგაჩინოს...

ამ რამდენიმე ხნის წინათ სტუდქალაქის მე-12 კორპუსში სტუდსაბჭოს საანგარიშო საარჩევნო კრება გაიმართა. საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ჯიბილო ნიჟარაძე. ვიდრე ჯიბილო მოხსენებას კითხულობდა, ვცდილობდი მეხსიერებაში აღმედგინა ჩვენი საქმიანი ურთიერთობის ყველა დეტალი. ერთი წლის წინათ, როდესაც მე-12 კორპუსში სტუდენტთა საბჭოს ახალი თავმჯდომარე უნდა აგვერჩია, არჩევანი ჯიბილო ნიჟარაძეზე შეჩერდა არა სხვათა „რეკომენდაციების“ წყალობით, როგორც ხშირად ხდება. ეს გოლიათის აღნაგობის სპორტსმენი ყველას ერთბაშად მოუვიდა თვალში, ცოდვა გამხელილი სჯობსო, ნათქვამია და მეც უნდა გამოვტყდე: როცა გავიგე, რომ ჯიბილო მოჭიდავე იყო, უკვე სკეპტიკურად შევხედე საქმეს. ადვილი როდია 200 სხვადასხვა ხასიათის ადამიანის სულში ჩაწვდომა, მათი სურვილების, ჭირისა და ლხინის გაგება. სტუდენტთა საბჭოს თავმჯდომარე პირველ ყოვლისა ახალგაზრდების ინტერესების დამცველი უნდა იყოს, ეს კი უდიდესი მორალური ტვირთი გახლავთ, რომლის პატრონად ზიდვა ყველას როდი შეუძლია. მით უმეტეს ძნელია ეს სპორტსმენისთვის, რომელიც საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრია და ყოველ წუთს ჩემოდანი გამზადებული აქვს. აი, სწორედ ამიტომ მეეჭვებოდა ჯიბილო ნიჟარაძის წარმატება ამ ხარბიელზე. და მაინც, სასიამოვნო იყო, როცა ჩემი ვარაუდი არ გამართლდა. სულ მალე მე-12 კორპუსში მდგომარეობა შეიცვალა. ამ კორპუსის სტუდსაბჭომ ბევრ რამეში აშკარად გაუსწრო სხვებს. ჯიბილო დიდხანს გულდასმით ეცნობოდა სხვათა საქმიანობას, სწავლობდა. იმ თვისებებმა, რომლებიც მასში სპორტმა ჩამოაყალიბა და განამტკიცა, საზოგადოებრივ საქმიანობაში წარმატებაც განაპირობა. მკითხველი ალბათ იკითხავს: რატომ აქამდე არაფერი გვსმენია დაწვრილებით ამ სპორტსმენის შესახებ? და მართალიც იქნება, რადგან ჯიბილო ნიჟარაძემ მოკლე ხანში ერთობ მაღალ შედეგებს მიაღწია. მისი წარმატებების შესახებ კი ჩვენი პრესა ძუნწ ინფორმაციებს გვაწვდიდა, თუმცა უცხოეთში სპორტული გაზეთები თუ ჟურნალები ხოტბას ასხამდნენ ამ „25 წლის ასაკში გაფურჩქვნილ ტალანტს“ (ასე უწოდა მას ჟურნალ „დოიჩეს შპორტ ეხომ“). ჯიბილო ნიჟარაძის სპორტული ბიოგრაფია მოკლედ ასე შეიძლება გადმოიცეს: ჭიდაობა სამბოს ჯიბილო 1965 წელს ეზიარა საბჭოთა არმიის რიგებში სამსახურის დროს და იქვე გახდა სპორტის ოსტატი თავისუფალ ჭიდაობაში. 1972 წელს III ადგილი დაისაკუთრა საკავშირო პირველობაში. განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა ნიჟარაძისთვის 1973 წელი, თუმცა ამაში „სპეციალობის შეცვლაც დაეხმარა“: ჯიბილო ძიუდოისტი გახდა და ერთბაშად ჩადგა საბჭოთა ქვეყნის წამყვან ძიუდოისტთა რიგებში. პირველი საპასუხისმგებლო გამოცდა ჯიბილომ თბილისის საერთაშორისო ტურნირში ჩააბარა, სადაც II ადგილი დაიკავა. ამას მოჰყვა I ადგილი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამართულ საერთაშორისო ტურნირში, III ადგილი მადრიდში, ევროპის ჩემპიონატში, მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედალი ლოზანაში, აგრეთვე, ორი ბრინჯაო ძიუდოისტთა პირველ საკავშირო პირველობაში (მძიმე და აბსოლუტურ წონებში). ეს მშრალი ციფრებიც კი კარგად მეტყველებს იმაზე, რომ ჯ. ნიჟარაძემ საბოლოოდ იპოვა თავისი ამპლუა და მომავალში მისგან გაცილებით მაღალ შედეგებს უნდა ველოდეთ.

ზემოთ დასახელებული ჟურნალი დანანებით წერდა, რომ ჯიბილო ნიჟარაძეს არ ეყო გამოცდილება იაპონელ ტაგაკისთან (ჯიბილომ ამ სპორტსმენს წმინდად მოუგო წინასწარი ორთაბრძოლა) ფინალურ შეხვედრაში. სპორტსმენის გზა მარტო ვარდ-ყვავილებით როდია მოფენილი. ამ გზაზე მას ბევრი ძნელი წუთის გადატანა უხდება. ნიჟარაძე იმ სპორტსმენთა რიცხვს არ ეკუთვნის, რომლებსაც დამარცხება, თუნდაც დასანანი და მოულოდნელი, ხელს ადვილად ჩააქნევინებს.

ისეთ სპორტსმენებს და საერთოდ ისეთ ადამიანებს, როგორიც ჯიბილო ნიჟარაძეა, არ შეუძლიათ არ იბრძოლონ გამარჯვებისთვის, როცა საქმე სამშობლოს პრესტიჟს ეხება.

**მ. გავაშვილი,**
**თბილისის უნივერსიტეტის დიალექტიკური მატერიალიზმის კათედრის ასპირანტი.**

• • •

სურათზე: ნიჟარაძისა (მარცხნივ) და ინგლისელი რემფრის ბრძოლა. ეს შეხვედრა ქართველმა სპორტსმენმა წმინდად მოიგო.



## ევროპის რეკორდები

### ძალოსნობა

1974 წლის 2 თებერვლისთვის

| წონითი კატ. | შედეგი | ძალოსანი და ქვეყანა | დამყარების წელი |
|---|---|---|---|
| | | **ატაცი** | |
| უმჩატესი | 103 | ზ. სმალცეჟი (პოლონეთი) | 1972 |
| მჩატე | 112,5 | გ. ტოდოროვი (ბულგარეთი) | 1973 |
| ქვემსუბუქი | 122,5 | დ. შანიძე (სსრ კავშირი) | 1972 |
| მსუბუქი | 137,5 | ვ. ბაშანოვსკი (პოლონეთი) | 1971 |
| ქვესაშუალო | 150,5 | ლ. იენსენი (ნორვეგია) | 1973 |
| საშუალო | 161,5 | ვ. რიჟენკოვი (სსრ კავშირი) | 1973 |
| ქვემძიმე | 170 | დ. რიგერტი (სსრ კავშირი) | 1973 |
| მძიმე | 177,5 | პ. პერვუშინი (სსრ კავშირი) | 1973 |
| ზემძიმე | 185 | ქ. ლაჰდენრანტა (ფინეთი) | 1974 |
| | | **აკვრა** | |
| უმჩატესი | 132 | ა. ვნატოვი (სსრ კავშირი) | 1972 |
| მჩატე | 147,5 | ა. კიროვი (ბულგარეთი) | 1973 |
| ქვემსუბუქი | 158,5 | ი. გოლუბცოვი (სსრ კავშირი) | 1973 |
| მსუბუქი | 177,5 | მ. კირჟინოვი (სსრ კავშირი) | 1972 |
| ქვესაშუალო | 190 | ნ. კოლევი (ბულგარეთი) | 1973 |
| საშუალო | 201,5 | ვ. რიჟენკოვი (სსრ კავშირი) | 1973 |
| ქვემძიმე | 213,5 | დ. რიგერტი (სსრ კავშირი) | 1973 |
| მძიმე | 224 | ვ. უსტიუჟინი (სსრ კავშირი) | 1973 |
| ზემძიმე | 240 | ვ. ალექსეევი (სსრ კავშირი) | 1973 |
| | | **ორჭიდი** | |
| უმჩატესი | 232,5 | ვ. სმეტანინი (სსრ კავშირი) | 1969 |
| მჩატე | 257,5 | ა. კიროვი (ბულგარეთი) | 1973 |
| ქვემსუბუქი | 277,5 | ი. ვოინოვსკი (პოლონეთი) | 1971 |
| მსუბუქი | 312,5 | მ. კირჟინოვი (სსრ კავშირი) | 1972 |
| ქვესაშუალო | 337,5 | ნ. კოლევი (ბულგარეთი) | 1973 |
| საშუალო | 357,5 | ვ. რიჟენკოვი (სსრ კავშირი) | 1972 |
| ქვემძიმე | 380 | დ. რიგერტი (სსრ კავშირი) | 1973 |
| მძიმე | 400 | პ. პერვუშინი (სსრ კავშირი) | 1973 |
| ზემძიმე | 417,5 | ვ. ალექსეევი (სსრ კავშირი) | 1973 |

## ახალი წიგნები

## სასარგებლო ნაშრომი

ამას წინათ გამომცემლობა „ზდოროვიემ“ კიევში გამოსცა პროფესორ თ. მურავოვის წიგნი „ფიზიკური კულტურა და აქტიური დასვენება სხვადასხვა ასაკობრივ პერიოდში“. აღნიშნულ წიგნში თანამედროვე მეცნიერულ დონეზე და პოპულარული ენითაა გაშუქებული მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც შეეხება ადამიანის სხეულზე ფიზიკური კულტურის გამაჯანსაღებელ მოქმედებას.

თავდაპირველად ავტორი მსჯელობს ფიზიკური კულტურის მნიშვნელობაზე ბავშვის ორგანიზმის ზრდისა და განვითარების პერიოდში. წიგნის ამ ნაწილში იგი ლაპარაკობს ფიზიკური ვარჯიშების გამოყენებაზე სკოლამდელ და სასკოლო ასაკში, იძლევა სასარგებლო მეთოდურ მითითებებს.

მოკლედ, მაგრამ საფუძვლიანადაა განხილული უფროსებისთვის ფიზიკური კულტურისა და სპორტის მნიშვნელობის საკითხი. ავტორი იძლევა რეკომენდაციებს საწვრთნელ მეცადინეობათა სწორად ჩატარებისთვის.

წიგნში უფრო დეტალურადაა გაშუქებული ფიზიკური ვარჯიშის მნიშვნელობა საშუალო ასაკისა და ხნიერი ადამიანისთვის. ამ თავში ავტორი არჩევს ფიზიკური ვარჯიშის სხვადასხვა ფორმასა და მეთოდს, განსაზღვრავს მათი გამოყენების შესაძლებლობებს და სხვ.

გარდა ამისა, მურავოვის წიგნს კიდევ ერთი ღირსება აქვს: მასში ასაკობრივ ასპექტშია გარჩეული მშდ კომპლექსის ჩასაბარებელი ნორმატივები და განხილულია იმ სახეობების ფიზიოლოგიური მოქმედება, რომლებიც ხელს უწყობს ადამიანის ორგანიზმის საერთო ფიზიკურ მომზადებას.

წიგნში უხვადაა მოცემული ფიზიკურ ვარჯიშთა კომპლექსები და საჭირო ცხრილები, რაც ამ ნაშრომს ბევრად უფრო გასაგებსა და საინტერესოს ხდის მკითხველთა ფართო მასებისთვის.

ი. მურავოვის ეს ნაშრომი კარგი საჩუქარია ყველასთვის, ვისაც სურს ფიზიკური კულტურის საშუალებით გაიხანგრძლივოს სიცოცხლე.

**ო. კოკაია,**
**თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფიზკულტურისა და საექიმო კონტროლის კათედრის დოცენტი.**

# მოთხილამურეთა „აქილევსის ქუსლი“

დასასრული

სახარბიელო მდგომარეობა არც ორჭიდში გვაქვს. ორივე სახეობაში თანაბარი ძალით საქართველოს ნაკრების წევრებიც კი ვერ ასპარეზობენ. ერთი თუ 15 კმ-ზე რბენაშია ძლიერი, მეორე მას ტრამპლინიდან ხტომაში ჯობს. მაგალითად, ბორჯომელმა ბ. ბაკაევმა 70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში თბილისელ უ. ლალიევს საერთო ჯამში 10 მეტრი მოუგო, მაგრამ დღეს ლალიევმა რბენაში მეტოქეს 10 წუთით და 32 წამით აჯობა, ხოლო ორჭიდის ჯამში თითქმის 100 ქულით გაუსწრო.

ჩვენი რესპუბლიკის მოთხილამურეებისთვის „აქილევსის ქუსლი“ კვლავ რბენაა. დღეს ქალები და გოგონები 5, ხოლო ვაჟები და ჭაბუკები 15 კმ-ზე ასპარეზობდნენ. მონაწილეთა სიმცირეს ვერ დავემდურებით, მაგრამ შედეგები კვლავ დაბალი იყო. წინსვლა იმდენად უმნიშვნელოა, რომ მდგომარეობა სერიოზულ დაფიქრებას მოითხოვს. განსაკუთრებით ყურადსაღებია ის, რომ სტარტზე გამოსულთა უმეტესობას (ძირითადად მეორე ჯგუფის გუნდის წევრები) მოსწავლეები შეადგენდნენ.

ტურნირებში სასკოლო ასაკის სპორტსმენთა მონაწილეობა მისასალმებელია, მაგრამ სად არიან მათი უფროსი კოლეგები? ამ სამიოდე წლის წინათ ისინიც ხომ გატაცებითვარჯიშობდნენ, მაგრამ საშუალო სკოლის დამთავრების მერე სპორტული სარბიელიდან უკვალოდ გაქრნენ.

ამის მიზეზი ისევ და ისევ სპორტსაზოგადოებათა სახეობების, ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტების ხელმძღვანელთა გულგრილობაა, რომლებიც პერსპექტიულ სპორტსმენებსაც კი ვერ ინარჩუნებენ ადგილებზე.

უფროსებში წარმატება ისევ რესპუბლიკის ნაკრების წევრებმა მოიპოვეს. ეტყობა, სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადისთვის მზადებას მათთვის უქმად არ ჩაუვლია, მაგრამ სხვები ლიდერებს იმდენად ჩამორჩებოდნენ, რომ ფაქტების დასახელებაც კი უხერხულად მიგვაჩნია. ზოგმა რაიონმა სპარტაკიადაზე იმდენად მოუმზადებელი მოთხილამურეები ჩამოიყვანა, რომ ბევრმა სპორტსმენმა სტარტზე გამოსვლაც ვერ გაბედა, ხოლო ზოგიერთმა დისტანცია ვერ დაამთავრა. აღმოჩნდნენ მოთხილამურეები, რომლებმაც უცოდინარობისა და ფიზიკური მოუმზადებლობის გამო გზის შემოკლება სცადეს, რისთვისაც შეჯიბრებიდან მოიხსნენ.

ო. გელაშვილი.

**ტექნიკური შედეგები:**

რბენა 5 კმ. ქალები. ნ. ბალაშვილი (თბილისი, „ბურევესტნიკი“) — 20.44, ტ. ტერეხოვა (ბორჯომი, „კოლმეურნე“)—21.21, ქ. კეხბა (რუსთავი, „განთიადი“) — 21,50; გოგონები. ლ. უდესიანი — 30.00, ლ. გულედანი (ორივე — მესტია, „კოლმეურნე“) — 32.15, თ. ქუმარიტაშვილი (ბორჯომი, „დინამო“) — 33.23.

გიგანტური სლალომი. ქალები. ხ. ნასყიდაშვილი (ბორჯომი, „კოლმეურნე“) — 1.45,23, თ. კოზანაშვილი (თბილისი, „დინამო“) — 1.48,52, ნ. ფალიანი (რუსთავი, „სპარტაკი“)—1.55,45; გოგონები. ქ. აკოფოვა—2.24,10, ტ. დანდოიანი (ორივე — ბორჯომი, „დინამო“) — 2.34,49.

რბენა. 15 კმ. ვაჟები. ა. მოროზოვი (თბილისი, „ბურევესტნიკი“, ბირადი) — 51,21, ლ. სოლოიანი — 52,14, ო. დიაკონაშვილი (ორივე — თბილისი, „ბურევესტნიკი“) — 53.26; იუნიორები. ნ. დიაკონაშვილი — 57.28, მ. კოვზირიძე (ორივე — ბორჯომი, „დინამო“) — 1:02.41, ვ. ალიბეგაშვილი (თბილისი, „სპარტაკი“) — 1:07,53.

გიგანტური სლალომი. ვაჟები. გ. ჯიჰოევი (ბორჯომი, „დინამო“) — 3.07,59, ი. ნასყიდაშვილი (თბილისი, „დინამო“) — 3.08,03, ა. სტეფანიანი (თბილისი, „სპარტაკი“) — 3.08,96; იუნიორები. ლ. ბანდური (თბილისი, ასკ) — 3.11,52, გ. ლომინაძე (თბილისი, „დინამო“) — 3.17,51, ვ. ჯიჰოევი (ბორჯომი, „დინამო“) — 3.22,91;

ორჭიდი. ვაჟები. უ. ლალიევი (თბილისი, „სპარტაკი“) — 394,7, ბ. ბაკაევი (ბორჯომი, „სპარტაკი“) — 295,1, ე. თვაური (ბორჯომი, „კოლმეურნე“)—291,2; იუნიორები. ს. ალავიძე — 197,3, მ. ჯიკაევი (ორივე — ბორჯომი, „დინამო“) — 119,3.

გუნდური. ტერიტორიული. I ჯგუფი. ბორჯომი — 196 ქულა, თბილისი — 153, მესტია — 51; II ჯგუფი. ქუთაისი — 48, რუსთავი — 29, ბოგდანოვკა — 23. სპორტსაზოგადოებები. „კოლმეურნე“ — 152 ქულა, „დინამო“ — 144, „სპარტაკი“ — 139.




## ფეხბურთი მარტში იწყება

### თასის კენჭისყრა

მოსკოვში ამ დღეებში გაიმართა უმაღლესი და პირველი ლიგების ფეხბურთელთა გუნდების უფროსებისა და უფროსი მწვრთნელების კონფერენცია, სადაც მოხდა სსრ კავშირის 1974 წლის თასის კენჭისყრა.

როგორც ყოველთვის, გათამაშების ცხრილში 2 უძლიერესი გუნდი — ერევნის „არარატი“ და კიევის „დინამო“ განლაგდა ისე, რომ მათ ერთმანეთს შორის ფინალამდე არ მოუწევთ შეხვედრა. ამას გარდა, კიეველებს, რომელთა გუნდიდან შარშან ყველაზე მეტი მოთამაშე იქნა გაგზავნილი სსრ კავშირის ნაკრებ გუნდში, მეოთხედფინალამდე არ მოუწევს თასზე თამაში.

კენჭისყრის თანახმად ოცდამეთორმეტედფინალში ივანოვოს „ტექსტილშჩიკსა“ და პერმის „ზვეზდას“ შორის გამარჯვებული შეხვდება მოსკოვის „სპარტაკს“, ზაპოროჟიეს „მეტალურგი“ — მოსკოვის „ტორპედოს“, კემეროვოს „კუზბასსა“ და სიმფეროპოლის „ტავრიას“ შორის გამარჯვებული — ალმა-ათის „ყაირათს“, მინსკის „დინამო“ — ვოროშილოვგრადის „ზარიას“, ქუთაისის „ტორპედოსა“ და იაროსლავლის „შინიკს“ შორის გამარჯვებული — ერევნის „არარატს“, ბაქოს „ნეფთჩი“ — ტაშკენტის „ფახთაქორს“, დონეცკის „შახტიორი“— მოსკოვის „ლოკომოტივს“, ლვოვის „კარპატი“—როსტოვის ასკ-ს, ცსკა — აშხაბადის „სტროიტელსა“ და ნალჩიკის „სპარტაკს“ შორის გამარჯვებულს, დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“ — კუიბიშევის „კრილია სოვეტოვსა“ და ორჯონიკიძის „სპარტაკს“ შორის გამარჯვებულს, კიშინიოვის „ნისტრუ“—ოდესის „ჩერნომორეცს“, დუშანბეს „პამირსა“ და სვერდლოვსკის „ურალმაშს“ შორის გამარჯვებული — თბილისის „დინამოს“, ლიპეცკის „მეტალურგი“— მოსკოვის „დინამოს“, ლენინგრადის „ზენიტი“ — კრასნოდარის „ყუბანსა“ და ივანო-ფრანკოვსკის „სპარტაკს“ შორის გამარჯვებულს.

სსრ კავშირის თასის გათამაშება დაიწყება 6 მარტს ოცდამეთორმეტედფინალური მატჩებით. ამ ეტაპის განმეორებითი შეხვედრები გაიმართება 10 მარტს. მეთექვსმეტედფინალის მატჩები შედგება 14 და 18 მარტს, მერვედფინალისა — 6 აპრილსა და 6 მაისს, მეოთხედფინალისა — 27 მაისს და 4 ივნისს, ნახევარფინალისა — 27 ივნისსა და 5 ივლისს. თასის ფინალური მატჩი გაიმართება 10 აგვისტოს.

## უპირატესობის მოპოვება და მისი შენარჩუნება

რა უფრო მნიშვნელოვანია ჭიდაობაში — უპირატესობის მოპოვება თუ მისი შენარჩუნება? ჩვენი აზრით, ერთიცა და მეორეც, ვინაიდან ეს ორი განსხვავებული ცნება ორგანულად ავსებს ერთმანეთს და განსაზღვრავს წარმატების ხასიათს, ხარისხს.

მოჭიდავემ წაართვა მეტოქეს რამდენიმე ქულა. იგი ფლობს ინიციატივას და ბრძოლასაც წინასწარ დასახული გეგმით წარმართავს. საგანგაშო თითქოს არაფერია, თუმცა ჯერჯერობით გაკეთებულია საქმის მხოლოდ ერთი ნახევარი. მეორე ნახევარი ამ უპირატესობის, ინიციატივის შენარჩუნებას, მის შემდგომ განმტკიცებას უნდა მოხმარდეს, თორემ, შესაძლოა, წყალში ჩაიყაროს გაწეული შრომა. აქ უკვე წინა პლანზე გამოდის ტაქტიკური აზროვნების უნარი, სწორი გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა და მისი შესრულების სიზუსტე.

თბილისის ტრადიციულმა საერთაშორისო ტურნირმა ამ მხრივ რამდენიმე საგულისხმო მაგალითი მოგვცა. უფრო ზუსტად, ასპარეზობის პირველ დღეს საშუალება გვქონდა გვენახა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ ორი განსხვავებული ცნების ურთიერთკავშირს, როგორ ავსებენ ან ეწინააღმდეგებიან (რა თქმა უნდა, სხვადასხვა კონკრეტულ პირობებში) ისინი ერთმანეთს.

ვ. იმერლიშვილმა (68 კგ) ლამაზად და აქტიურად დაიწყო ბრძოლა ლენინგრადელი ა. მატვეევის წინააღმდეგ. მატვეევი საკმაოდ გამოცდილი მებრძოლია. კრასნოიარსკის საკავშირო ჩემპიონატში მან მხოლოდ ორი შეხვედრა დათმო (ზ. აბდულბეკოვთან და ს. იბრაჰიმოვთან), მიიღო ბრინჯაოს მედალი და დაიმკვიდრა ადგილი სსრ კავშირის ნაკრების კანდიდატთა სიაში. ასე რომ, იმერლიშვილის კარგმა სტარტმა ფრთები შეასხა მის გულშემატკივრებს. ხუმრობა ხომ არაა 6 ქულის აღება ასეთ მეტოქესთან ბრძოლაში!

თბილისელმა ოსტატმა კარგად გაართვა თავი საქმის პირველ ნახევარს. იგი საგრძნობლად დაწინაურდა და მდგომარეობის ფაქტიური ბატონ-პატრონიც გახდა. მერე კი... მოხდა გაუგებარი რამ, უფრო სწორად, ის, რასაც უპირატესობის შენარჩუნების არცოდნა ჰქვია. მატვეევმა ადვილად აუღო ალღო მეტოქეს და მდგომარეობის გამოსწორება სრულიად მარტივი გზით გადაწყვიტა: იგი დაუბრკოლებლად „შედიოდა ფეხებში“ და ქულას ქულაზე ართმევდა დაბნეულ მეტოქეს. ასე გაგრძელდა მანამ, სანამ ორივე გონგმა არ გააშველა.

მატვეევმა, რომელიც დასაწყისში სასწაულით გადაურჩა წმინდა დამარცხებას, ზედიზედ 6 ქულა აიღო და შეხვედრაც ფრედ დამთავრდა. აქ უკვე დრომ იხსნა იმერლიშვილი, თორემ შესაძლოა ბრძოლა უარესი შედეგითაც დამთავრებულიყო. შეხვედრის შემდეგ ზოგიერთმა მწვრთნელმა იმერლიშვილის ესოდენ გაუგებარი გარდაქმნა ახსნა „სუნთქვის უვარგისობით“, არასაკმარისი ფიზიკური მომზადებით. ესეც ცუდია, მით უმეტეს, რომ ძლიერი მეტოქე ახალგაზრდა ოსტატს „კუთხეში“ ჰყავდა მომწყვდეული.

დაახლოებით იგივე სურათი განმეორდა რ. მოსეშვილისა (100 კგ) და ვ. შამილოვის ორთაბრძოლაში. მოსეშვილი სულ წინ იყო, აქტიურობდა, უტევდა, მაგრამ მერე ნელ-ნელა უპირატესობის „განიავება“ დაიწყო. ამ შეხვედრაში გონგის ხმა უფრო ადრე გაისმა, ვიდრე ქულათა რაოდენობა გათანაბრდებოდა და, ამდენად, გამარჯვება მოსეშვილს დარჩა, მაგრამ წინა მაგალითის განმეორების საშიშროება მაინც არსებობდა.

ჩვენ ასე დეტალურად იმიტომ შევჩერდით ამ ორთაბრძოლებზე, რომ იმერლიშვილიცა და მოსეშვილიც ლამაზად, აზრიანად ჭიდაობდნენ, სანამ მათში სწორედ ეს ზემოხსენებული გარდაქმნა არ მოხდა.

აი, კიდევ ერთი შეხვედრა, ერთი სამაგალითო ბრძოლა, რომელიც ზუსტად იძლევა პასუხს ჩვენს მიერ დასმულ შეკითხვაზე: სსრ კავშირის ექსჩემპიონმა ვ. მარშანიამ იმერლიშვილისა და მოსეშვილის საწინააღმდეგოდ გვიჩვენა, თუ რა გზით უნდა მოხდეს მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნება.

ამ ბრძოლაში მარშანიას მეტოქე იყო მრავალ საერთაშორისო ტურნირში გამობრძმედილი, უაღრესად ჭკვიანი და გამოცდილი ბულგარელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი დ. კოსტოვი. მეტოქეთა შანსები დაახლოებით თანაბარი ჩანდა, მაგრამ ქართველ ოსტატს ჰქონდა ერთი უპირატესობა — სისწრაფე — და იგი ნელ-ნელა შეუდგა ამ უპირატესობის გამოყენებას. მეორე პერიოდის დასაწყისში მარშანია დაწინაურდა — 3:2. მერე მან კიდევ სამჯერ აართვა ქულა მეტოქეს. დადგა გადამწყვეტი წუთები. ბულგარელს აღარაფერი ჰქონდა დასაკარგი, მან რამდენიმეჯერ გარისკა და ერთხელ კრიტიკულ მდგომარეობაშიც კი ჩააყენა მარშანია. და როცა ქულათა გათანაბრებას თითქოს აღარაფერი აკლდა, სსრ კავშირის ექსჩემპიონმა ერთხელ კიდევ გამოიყენა თავისი უპირატესობა. მან წამის რაღაც მეათედით დაასწრო მეტოქეს და ჩოქბჯენში გადაიყვანა. ამ ქულამ საბოლოოდ გატეხა ბულგარელის საბრძოლო სული და წარმატებით დააგვირგვინა ექს-ჩემპიონის ჩანაფიქრი.

სხვათა შორის, ამ წონაში ერთი მეტად საინტერესო ათლეტი ასპარეზობს. ესაა ერევნელი ე. მელიქიანი, რომელმაც ორი ერთნაირი ბრძოლა ჩაატარა გუშინწინ — დღისით და საღამოს. პირველ წრეში მელიქიანმა თავბრუდამხვევი ტემპი შესთავაზა პოლონელ შ. კელბოვსკის და, სანამ ეს უკანასკნელი გონს მოვიდოდა, ლამაზი მოგვერდით ხალიჩას გააკრა. ზუსტად იმავე ხერხს მიმართა მან გამოცდილ შ. პაპაშვილთან ბრძოლაში და ისევ წარმატებას მიაღწია. საინტერესოა ითქვას, რომ ამ ორ გამარჯვებას მან წუთზე ცოტათი მეტი მოანდომა.

ტურნირის პირველი დღე ილბლიანი გამოდგა ბევრი მოჭიდავისთვის. გ. ყვარელაშვილმა (62 კგ) გონგამდე 3 წამით ადრე ხალიჩას გააკრა ამერიკელი ლ. მორგენი. ყვარელაშვილი მანამდეც იგებდა ბრძოლას, მაგრამ წმინდა გამარჯვებამ იგი ერთბაშად ლიდერთა შორის დააყენა.

ლამაზად მოუგო ბრძოლა ირანელ ნ. ჰოსეინს (82 კგ) თბილისელმა რ. მარსაგიშვილმაც. ორი პერიოდის შემდეგ იგი წინ იყო 3 ქულით, მაგრამ ქულებით მოგებას მაინც წმინდა გამარჯვება ამჯობინა. ირანელმა ბრძოლა შეწყვიტა III პერიოდის დასაწყისში. მარსაგიშვილმა პირველი შეხვედრა აშკარა უპირატესობით მოიგო, ამიტომაც მას მხოლოდ ნახევარი საჯარიმო ქულა აქვს.

ამავე წონაში წმინდა გამარჯვება იზეიმა ა. ილურიძემ (80 წამში დაამარცხა თანამემამულე ი. ბუბაშვილი).

ზ. ნიკურაძისა და რ. გერკეს (გდრ) შეხვედრა ისეთი მაღალი ტემპით დაიწყო, ვერ იფიქრებდით, რომ ქვემძიმე წონის ათლეტები იბრძოდნენ. ნიკურაძემ ისარგებლა მეტოქის დაბნეულობით და იგი ჯერ ჩოქბჯენში გადაიყვანა, მერე კი ხალიჩას გააკრა ბეჭებით. ეს მოხდა შეხვედრის მე-2 წუთზე.

ნ. ბუბუშვილი.

გთავაზობთ მეორე წრის ზოგიერთი საინტერესო შეხვედრის შედეგებს:

62 კგ. ს. გარუმოვმა (სსრ კავშირი) ქულებით მოუგო რ. მომჩილოვს (ბულგარეთი), ბ. გაჯიევმა (სსრ კავშირი) — ლ. გაპტომორს (მონგოლეთი), მ. კანჩიკიმ (იაპონია) — ჰ. შტრუმფს (გდრ), დ. ძეკოვმა (ბულგარეთი) — ვ. მელკოვს (სსრ კავშირი). ა. მუშეღიანმა (სსრ კავშირი) წმინდად დაამარცხა ე. ლიპსკი (პოლონეთი).

68 კგ. ი. ანტოშკინმა (სსრ კავშირი) ქულებით დაამარცხა რ. მელაშვილი (საქართველო), ლ. კიზერმა (აშშ) — ი. კოჩიში (უნგრეთი), მ. იბრაჰიმოვმა — პ. პინიგინი (ორივე — სსრ კავშირი), ჰ. მოჰამედმა (ირანი) — ი. გაიდარბეკოვი (სსრ კავშირი). წმინდა გამარჯვება იზეიმეს: რ. ემხანიანმა (სსრ კავშირი) — ტ. სეპჩისთან (იაპონია), ა. აბაევმა (სსრ კავშირი) — ვ. ჩიშლაკთან (პოლონეთი), გ. მანჟუევმა — ტ. სოკაევთან (ორივე — სსრ კავშირი), ჟ. დავააჟავმა (მონგოლეთი) — პ. ანდრონესთან (რუმინეთი).

82 კგ. ვ. პოტაპენკომ (სსრ კავშირი) ქულებით მოუგო მ. მაისურაძეს (საქართველო), ი. აბილოვმა (ბულგარეთი) — ზ. ალასხანოვს (სსრ კავშირი), ს. ჯამალინოვმა (სსრ კავშირი) წმინდად მოუგო გ. კლაუსს (გდრ), ჯ. პიტერსონმა (აშშ) კი აშკარა უპირატესობით — დ. ქავთარაშვილს (საქართველო).

90 კგ. ჰ. კურჩევსკიმ (პოლონეთი) ქულებით დაამარცხა რ. ტალაკანი (ირანი), ა. პროკოპჩუკმა (სსრ კავშირი) — რ. ფილიტცი (გდრ), რ. ჰელიკსონმა (აშშ) — ს. კელბოვსკი (პოლონეთი).

100 კგ. ნ. ნოვიკოვმა (სსრ კავშირი) ქულებით დაამარცხა ე. ჩოტარი (უნგრეთი), ბ. დიდრიხმა (აშშ) — ე. პაპანტა (რუმინეთი), ე. იკაევმა (სსრ კავშირი) წმინდად მოუგო მ. ცნობილაძეს (საქართველო), ხოლო გ. კოზლიაკოვმა (სსრ კავშირი) აშკარა უპირატესობით—რ. სუხტესარანს (ირანი).

მძიმე. გ. ფრიდრიხმა (გდრ) ქულებით მოუგო რ. ჰალაჯს (ირანი), რ. ბუგეშაშვილმა (სსრ კავშირი) — მ. მაკ-გრილს (აშშ), ტ. რადევმა (ბულგარეთი) — გ. შიმონს (რუმინეთი), ბ. გოგნაძემ (საქართველო) — გ. ბოლოს (უნგრეთი), გ. პარშუკოვმა — ნ. სკრიპკინს (ორივე — სსრ კავშირი), ბ. ბიგაევმა (სსრ კავშირი) წმინდად დაამარცხა ა. ჭუაძე (საქართველო).

სურათებზე: მარცხნივ — გ. ყვარელაშვილისა (მარჯვნივ) და ამერიკელი ლ. მორგენის შეხვედრის მომენტი; მარჯვნივ — იაპონელი მოჭიდავეები, რომლებსაც გულდასმით გადააქვთ ჭიდაობის ფრაგმენტები ფოტოფირზე.

მ. ზარგარიანის ფოტოები.





ეროვნული ბიბლიოთეკა



მუჰამედ ალი



ჯო ფრეზიერი

# ალის აღარ შეუძლია ლოდინი

როგორც ცნობილია, 28 იანვარს ნიუ იორკის „მედისონ სკვერ გარდენში" ჩატარდა პროფესიული კრივის ორი ვარსკვლავის — მუჰამედ ალისა და ჯო ფრეზიერის შეხვედრა. დღეს ჩვენ საშუალება გვაქვს დაწვრილებით გავაცნოთ მკითხველს ამ ბრძოლის პერიპეტიები.

მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე. მთელ ამერიკაში არნახული აურზაურია. სალაროებში ბილეთები 100 დოლარად იყიდება, შავ ბაზარზე კი — ხუთჯერ უფრო ძვირად. მატჩის გადაცემა გადაწყდა შინაგანი სატელევიზიო ქსელით, მხოლოდ კინოთეატრებში. ამბობენ, რომ შემოსავალი გადაფარავს ყველა არსებულ რეკორდსო.

მატჩის დღე. „მედისონ სკვერ გარდენი" პოლიციელთა ალყაშია. ხალხი უწყვეტ ნაკადად მოედინება დარბაზისკენ. ბილეთებს სინჯავენ რამდენიმე მჭიდროდ განლაგებული პოლიციელები. დარბაზში ენით აუწერელი ღრიანცელია. ცალ-ცალკე, ჯგუფ-ჯგუფად სხედან ალისა და ფრეზიერის გულშემატკივრები. დრო საოცრად ნელა მიიზლაზნება, ბრძოლის დაწყებას თითქოს პირი არ უჩანს.

**I და II რაუნდები.** ალის უპირატესობა აშკარაა. იგი უმთავრესად გვერდითს დარტყმებს იყენებს. ფრეზიერის „მარცხენა", ისევე როგორც სამი წლის წინათ, ძლიერია, მაგრამ მას სისწრაფე აკლია, ვერ ასწრებს დაცვის ორგანიზებას.

**III რაუნდი.** უფრო აქტიურია ფრეზიერი. მუცელში რამდენიმე ძლიერი დარტყმის შემდეგ იგი რინგის კუთხეში იმწყვდევს ალის, მაგრამ ეს უკანასკნელი ახერხებს თავის დაღწევას. ალის გეგმა აშკარაა. იგი ბევრს მოძრაობს და მეტოქესაც აიძულებს იმოძრაოს. ფრეზიერი ოდნავ დაიღალა.

**IV, V და VI რაუნდები.** ალი კვლავ ბევრს მოძრაობს. ფრეზიერი კატასავით დასდევს მას და როგორც კი მოიხელთებს... თვითონ იღებს ძლიერ დარტყმებს. ალი ცდილობს მეტოქე არ მიუშვას ახლოს. IV რაუნდის შემდეგ დარბაზიდან გადის 26 წლის მსოფლიო ჩემპიონი ჯორჯ ფორმენი მიზეზი? იგი ძალზე დაკავებულია და ემზადება კენ ნორტონთან შეხვედრისთვის, რომელიც 26 მარტისთვისაა დანიშნული. ალი თითქოს დაიღალა.

**VII და VIII რაუნდები.** მუჰამედ ალის „მეორე სუნთქვა" გაეხსნა. იგი ისევ ბევრს მოძრაობს და ელოდება შემთხვევას, რომ გადამწყვეტი დარტყმა მიაყენოს მეტოქეს. ამასვე ელოდება ფრეზიერი.

**IX რაუნდი.** ალის უპირატესობა უდავოა. ამას უკვე აშკარად გრძნობენ არა მარტო სპეციალისტები, არამედ მაყურებლები. ალის ბანაკში ზეიმია.

**X, XI და XII რაუნდები.** ორივე მეტოქე გააფთრებით იბრძვის. უკვე ყველასთვის ცხადია, რომ ამ დღეს ნოკაუტი არ იქნება. მაგრამ... ფრეზიერი მოულოდნელად კუთხეში იმწყვდევს ალის. თითქოს ყველაფერი დამთავრდა. ერთი ძლიერი დარტყმა და... მაგრამ ალი ისევ უვნებლად ახერხებს კუთხიდან გამოსვლას. უფრო მეტიც, ალი სეტყვასავით აყრის მეტოქეს ძლიერ დარტყმებს. გონგი!

მეორე დღეს, დილით, პრეს-კონფერენციაზე პირველი ფრეზიერი მოდის. ელოდება ალის, მაგრამ ეს უკანასკნელი იგვიანებს და ჯო იძულებულია დაიწყოს საუბარი.

— მე მზად ვიყავი ფორმენთან შეხვედრისთვისაც, მაგრამ მერჩივნა ალისთან ბრძოლა. არავითარი პრეტენზია არა მაქვს არც მეტოქის და არც არბიტრების მიმართ. ეს ბრძოლა გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე ჩვენი სამი წლის წინანდელი შეხვედრა.

ალი პრეს-კონფერენციაზე დიდი დაგვიანებით მოდის, რისთვისაც ბოდიშს იხდის. ჟურნალისტები ტაშით ხვდებიან გამარჯვებულს.

— ჯო გუშინ გაცილებით უკეთ იბრძოდა. მე იგი არ მძულს. ვფიქრობ არც მას უნდა ვძულდე. ბედნიერი ვარ, რომ დღეს არც ერთი „თეთრი ბატონი" არ არის ჩემი უფროსი. არ ვიყავი სწორი, როცა ვაცხადებდი, ჯო ჩამოწერილი მოკრივეა-მეთქი. იგი ნამდვილი უშიშარი მებრძოლია. ეს იყო ჩემი ორმოცდამეხუთე ბრძოლა და ორმოცდამესამე გამარჯვება. ახლა უკვე გზა გამეხსნა ფორმენთან შესახვედრად.

**ბოლოსიტყვა.** კაცმა არ იცის, შედგება თუ არა ალისა და ფორმენის ორთაბრძოლა. პროფესიული მოკრივის გზა ისეა დახლართული, რომ ძეხორციელიც ვერ გაარკვევს. რას მოისურვებენ კრივის ინდუსტრიის მეცენატები, რა ახალ ხრიკებს მოიგონებენ, რათა ბოლომდე გამოსწოვონ სისხლი თავიანთ მსხვერპლს, ეშმაკმაც არ იცის. ცნობილია მხოლოდ ერთი რამ: ალისა და ფრეზიერის ორმა ბრძოლამ მათ 20 მილიონი დოლარი წმინდა შემოსავალი მოუტანა.

ალის ლოდინი აღარ შეუძლია — იგი უკვე 32 წლისაა...

# ბრწყინვალე წარმატება

## ზამთრის ყინულზე

**ზაგრები, 2 თებერვალი.** ჭეშმარიტად ბრწყინვალედ იასპარეზეს ფიგურული სრიალის საბჭოთა ოსტატებმა იუგოსლავიის ამ ქალაქის ყინულის სარბიელზე გამართულ ევროპის 65-ე ჩემპიონატში. წყვილთა სრიალში ტოლი არ ჰყავდათ ი. როდნინასა და ა. ზაიცევს, რომელთა უზადო ნებისმიერი ვარჯიში მსაჯებმა 11-ჯერ უმაღლესი ქულით — 6,0 — შეაფასეს. ვერცხლის მედლები დაიმსახურეს გდრ-ის წარმომადგენლებმა რ. კერმერმა და რ. ესტერაიხმა, ბრინჯაოსი — საბჭოთა დუეტმა — ლ. სმირნოვამ და ა. ულანოვმა.

ვაჟთა ერთეულებში კონტინენტის ჩემპიონის სახელისთვის საინტერესო ბრძოლა გაიმართა ი. ჰოფმანს (გდრ), ს. ვოლკოვს (სსრ კავშირი) და ჯ. კარის (დიდი ბრიტანეთი) შორის. ნებისმიერი ვარჯიშის შესრულებამდე ვოლკოვს ევროპის ჩემპიონის ტიტულის მოხვეჭის დიდი შანსი ჰქონდა, მაგრამ ბოლო ვარჯიშის დროს შეცდომა დაუშვა, მისმა მეტოქემ ჰოფმანმა კი უნაკლოდ იასპარეზა და ოქროს მედალიც ამ უკანასკნელს დარჩა. საბჭოთა სპორტსმენს ვერცხლის მედალი გადაეცა, კარის — ბრინჯაოსი.

როგორც მოსალოდნელი იყო, სპორტულ ცეკვებში სწორუპოვარი იყვნენ მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონები ლ. პახომოვა და ა. გორშკოვი. მეორე ადგილზე არიან ჰ. გრინი და გ. უოთსი (დიდი ბრიტანეთი), მესამეზე — საბჭოთა წყვილი — ნ. ლინიჩუკი და გ. კარპონოსოვი.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ი. როდნინა და ა. ზაიცევი ზაგრებში ასპარეზობისას.



# ორი კვარტეტი

**მინსკი, 1 თებერვალი.** გუშინ ბელორუსიის დედაქალაქში დამთავრდა I ჯგუფის კალათბურთელ ქალთა საკავშირო პირველობის მატჩები. აქ ასპარეზობდა 8 კოლექტივი (სხვა 8 გუნდი ძალებს კიშინიოვში ცდიდა): ადგილობრივი „ჰორიზონტი", პენზის „სპარტაკი", კაუნასის „პოლიტექნიკა", თბილისის სპი, ომსკის „ნეფტიანიკი", დონეცკის „ბურევესტნიკი", ნოვოსიბირსკის „დინამო" და ლენინგრადის „სკოროხოდი".

შეჯიბრების მონაწილეთა მთავარი საზრუნავი იყო ოთხეულში მოხვედრა, ვინაიდან აქედან მათ გზა ეხსნებოდათ ფინალისკენ და მაშასადამე, უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად.

წინასწარ ვიტყვით, რომ მინსკის ტურნირი ადგილობრივმა კალათბურთელებმა მოიგეს. II ადგილზე გავიდა ფრუნზეს „სპარტაკი", III — კაუნასის „პოლიტექნიკა". საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელებმა IV ადგილი დაიკავეს.

თბილისელმა სპორტსმენებმა ტურნირი კარგად დაიწყეს და ორი ბრძოლა მოიგეს ზედიზედ, დონეცკისა (84:62) და ლენინგრადის (73:57) კალათბურთელებთან. მაგრამ III წრეში მათ დათმეს ბრძოლა „პოლიტექნიკასთან" — 60:70. ომსკის „ნეფტიანიკთან" გამარჯვების (89:73) შემდეგ სპი-მ კიდევ ერთი მარცხი იწვნია. ამჯერად პენზის „სპარტაკთან". დამარცხდა იგი მინსკის „ჰორიზონტთან" ორთაბრძოლაშიც (58:70).

თბილისელთათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ნოვოსიბირსკის დინამოელებთან ორთაბრძოლას. გუნდი, რომელიც მოიგებდა ამ შეხვედრას, გადიოდა IV ადგილზე. თბილისელებმა გაიმარჯვეს — 62:60.

1 მარტს მინსკის ჯგუფის „კვარტეტი" კიშინიოვის ჯგუფის ოთხეულს შეხვდება. ეს იქნება ტურნირის მეორე ეტაპი, რომელიც უძლიერესთა ახალ ოთხეულს გამოავლენს. უმაღლესი ლიგის 2 საგზურის მფლობელის ვინაობას დაასახელებს მესამე ეტაპი — ოთხთა წრიული ტურნირი.

**კიშინიოვი, 1 თებერვალი.** ანალოგიური ტურნირი გაიმართა მოლდავეთის დედაქალაქში. იქ იმარჯვა დნეპროპეტროვსკის „სტალმა". ოთხეულში მასთან ერთად გავიდნენ: ტაშკენტის სკიფ-ი, კიშინიოვის „ინჟდორსტროი" და ტარტუს „უნივერსიტეტი".



გთავაზობთ სატურნირო ცხრილს, რომელიც ასახავს გუნდების მდგომარეობას (ოქროს ქულების ჩათვლით) I ეტაპის შემდეგ.

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| „ჰორიზ." (მინსკი) | 3 | 3 | 0 | 3 |
| „სტალი" (დნეპრ.) | 3 | 3 | 0 | 3 |
| „სპარტაკი" (პენზა) | 3 | 2 | 1 | 2 |
| სკიფ-ი (ტაშკ.) | 3 | 2 | 1 | 2 |
| „პოლიტექნ." (კაუნ.) | 3 | 1 | 2 | 1 |
| „ინჟდორ." (კიშ.) | 3 | 1 | 2 | 1 |
| სპი (თბილისი) | 3 | 0 | 3 | 0 |
| „უნივერს." (ტარტუ) | 3 | 0 | 3 | 0 |



## კარპოვი — პოლუგაევსკი 2:0

მოსკოვი. გასულ პარასკევს კარპოვმა და პოლუგაევსკიმ მატჩის VII პარტია დაიწყეს, მაგრამ ვერ დაამთავრეს. გადადებულ პოზიციაში კარპოვმა 41-ე სვლა ჩაიწერა.

როგორც ჩანს, მავებით ჭადრაკში კარპოვს ყაიმი ხელს აძლევდა, ამიტომ იგი გართულებებს თავს არიდებდა.

# პრეტენდენტთა მატჩები

მაშინაც კი, როცა პოლუგაევსკიმ ახალი გაგრძელება გამოიყენა, კარპოვი მშვიდად თამაშობდა და თანდათან მდგომარეობა გაათანაბრა. შემდგომ ბრძოლაში პოლუგაევსკიმ მაინც შეძლო მცირე უპირატესობის მიღება.

კარპოვი მუქარას დიდი მოთმინებით იგერიებდა, ბევრი ფიგურა გაცვალა და თამაში ლაზიერების დაბოლოებაში გადაიყვანა. სპეციალისტების აზრით, პარტია ყაიმით უნდა დამთავრდეს, თუმცა პოლუგაევსკის ცენტრალური პაიკი კარპოვის მხრიდან ყურადღებას საჭიროებს.

## პეტროსიანი — პორტიში 1:0

პალმა-დე-მალიორკა. 1 თებერვალს გათამაშდა მატჩის VII პარტია, რომელიც ყველაზე მოკლე აღმოჩნდა. მეტოქენი დაზავდნენ მე-13 სვლაზე.

# მატჩი გადატანილია

თბილისის „დინამოს" და რიგის არმიელ კალათბურთელთა შეხვედრა, რომლითაც იწყება უმაღლესი ლიგის ვაჟთა ჩემპიონატის III წრე და რომელიც კალენდრით 3 თებერვალს უნდა გამართულიყო სპორტის სასახლეში, გადატანილია 4 თებერვლისთვის. ძირითადი შემადგენლობანი თამაშს დაიწყებენ 20 საათზე.

რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 68448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02453